საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 891

ქ. თბილისი "10" 07 2007წ

ს.ს.ი.პ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ს.ს.ი.პ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და რადიოაქტიური ნარჩენების მოძიება, გაუვნებლება (რადიოაქტიურად დაბინძურებული ტერიტორიის გასუფთავების ჩათვლით), გადამუშავება, შენახვის მიზნით.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ს.ს.ი.პ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა"-ს.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი და ს.ს.ი.პ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა"-ს განცხადება.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურში
თარიღი № 153
19-07-2007 წ.

დავთ ტყეშელაშვილი
მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ასლი სწორია:

ასლი სწორია: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, ბირთვული და